სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

პრესრელიზი

06.05.2015წ.

საკონტაქტო პირი: ეკა გაბადაძე
კომუნიკაციების მენეჯერი
ელ.ფოსტა: egabadadze@spa.ge
ტელ: 577244454

ცვლილებები ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით

ეროვნული ვალუტის კურსის ცვალებადობით გამოწვეული პრობლემების დაძლევისა და ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით, შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებულ „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესში“.

ბრძანების შესაბამისად, ეროვნული ვალუტის კურსის ცვალებადობის ან/და რეგიონში ბოლო პერიოდში მიმდინარე მოვლენების შედეგად მიმწოდებლის ხარჯის ზრდის შემთხვევაში, შესაძლებელი გახდა ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა, თუ:

- ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულება იზრდება 10%-მდე და იგი იწვევს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების ზრდას 100 000 ლარზე მეტი ოდენობით; ან
- ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულება იზრდება 10%-ზე მეტით.

იმისათვის, რომ მეწარმეებმა ისარგებლონ შემოთავაზებული ცვლილებებით, საჭიროა მათ მიმართონ შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდის მოთხოვნით და წარუდგინონ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა. ამ დასკვნით უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი ხელშეკრულების შესრულებისას ზემოაღნიშნული გარემოებებით გამოწვეული მიმწოდებლის ხარჯის ზრდა. ამის შემდგომ, შემსყიდველი ორგანიზაცია განიხილავს ექსპერტიზის წარდგენილ დასკვნას და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ათანხმებს ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების გაზრდის საკითხს. საგულისხმოა, რომ ცვლილებების მიხედვით, ხელშეკრულების ღირებულების გაზრდასა და მის ოდენობაზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას. ექსპერტიზის მომსახურების ხარჯების დაფარვა, ცვლილების მიხედვით, ეკისრება მიმწოდებელს.

გათვალისწინებულია ის შემთხვევაც, როდესაც ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდის ნაცვლად, ხელშეკრულების ღირებულების უცვლელად, დასაშვებია მისაწოდებელი საქონლის, მომსახურების ან სამშენებლო სამუშაოს ოდენობის/მოცულობის შემცირება. ეს საკითხი ასევე საჭიროებს ექსპერტიზის დასკვნას, თუმცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა აღარ მოითხოვება.

ბიზნესის ინტერესებიდან გამომდინარე, ცვლილება ითვალისწინებს, რომ ექსპერტიზის დასკვნის გაცემისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობის მიღებისთვის საჭირო ვადა მიმწოდებელს არ ჩაეთვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადაში. ეს ვადა ასევე არ იქნება გათვალისწინებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილებისთვის დასაკისრებელი პირგასამტეხლოს გამოთვლილისას, რაც

დამატებით უნდა ასახონ მხარეებმა შეთანხმების დოკუმენტში, რომლითაც შედის ცვლილება ხელშეკრულებაში. ამ ნორმისაგან გამონაკლისია სამშენებლო სამუშაოები, რა დროსაც მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და არ დაუშვას სამშენებლო სამუშაოს მიმდინარეობის შეჩერება შესაბამისი დასკვნის წარმოდგენამდე.

ხაზგასასმელია, რომ ეს ცვლილებები ეხება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც დადებულ იქნა 2015 წლის 1 მარტამდე და იგი არ ვრცელდება კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელებულ შესყიდვებზე, აგრეთვე იმ სახელმწიფო შესყიდვებზე, რომელშიც ცვლილების ამოქმედებამდე უკვე განხორციელებულია ხელშეკრულების ღირებულების სრული ოდენობის წინასწარი ანგარიშსწორება ან რომელშიც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულდა სრულად და გაფორმდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი.

აღნიშნული ცვლილებები ძალაში შევიდა 2015 წლის 30 აპრილიდან და მისი ნახვა შესაძლებელია ვებგვერდზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2824002